ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3137998

ნომერი: AR1480612

თარიღი : 21.02.2017

გაცემის თარიღი : 13.03.2017

გაცნობის თარიღი : 14.03.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , I და III მ/რ შორის , (ნაკვეთი N1/41) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ილია ხავთასი პ/ნ 01020010688
- თბილისი მ.მესხის ქ. N 26ა

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 29 დეკემბრის №3025020 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 21 თებერვალს №AR1480612 განაცხადით მომართეს ილია ხავთასმა და ნანული ღლიღვაშვილმა და მოითხოვეს ამავე

სამსახურის 2016 წლის 29 დეკემბრის №3025020 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ნაწილში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 29 დეკემბრის №3025020 ბრძანებით ქ. თბილისში, დიღომი, სექტორი - საბურთალო, დიდი დიღომი, I და II მ/რ შორის (ნაკვეთი №1/41), შპს „როიალ დეველოპმენტის" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ.№01.10.06.001.205) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, ხოლო ამავე სამსახურის 2017 წლის 1 თებერვლის №3076609 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 02 თებერვლიდან 2019 წლის 02 იანვრის ჩათვლით. აღნიშნულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში დამკვეთად დაფიქსირებულია შპს „როიალ დეველოპმენტი" (ს/კ: 404516582).

წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია სამსახურის 2016 წლის 29 დეკემბრის №3025020 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა და წარმოდგენილია გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:4493.1; ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).:233.2; საერთო ფართობი (კვ.მ).:22655.6;

სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება 2016 წლის 29 დეკემბრის №3025020 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 29 დეკემბრის №3025020 ბრაძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:4493.1; ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).:233.2; საერთო ფართობი (კვ.მ).:22655.6; სამსახურის 2016 წლის 29 დეკემბრის №3025020 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 29 დეკემბრის №3025020 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.